

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 4

2022 წლის 04 მარტი

ქ. ლაგოდეხი

სხდომას დაესწრო: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი ივანე წიქარიშვილი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ კარლო ჯამბურიაძემ. საკრებულოს წევრებს მიულოცა ევროკავშირის წევრობაზე პრემიერმინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ განაცხადზე ხელისმწერა და თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს პატივი მიაგონ წუთიერი დუმილით რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროს დაღუპულებს. აქვე აღნიშნა, რომ ქვეყნის ხელისუფლება მხარს უჭერს უკრაინას, მის მიმართ აფიქსირებს მყარ პოლიტიკურ-ჰუმანიტარული პოზიციას რუსული აგრესიის წინააღმდეგ, მაგრამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე არ უერთდება სანქციებს. ასევე ხაზი გაუსვა ამერიკის ელჩის კელი დეგნანის სიტყვას საქართველოს პოზიციის მნიშვნელობაზე უკრაინის მიმართ, მიუხედავად სხვა ძალებისა, რომლებიც აკნინებენ საქართველოს პოზიციას.

აზრი გამოთქვეს: ვახტანგ დევიძემ, დაგმო საკრებულოს თავმჯდომარის გამოსვლა და პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა. ევა ლომთაძემ წუხილი გამოთქვა საკრებულოს და საერთოდ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების მიმართ, ასევე აღნიშნა, რომ მათ ქვეყნის ხელმძღვანელების განწყობა გადმოიტანეს საკრებულოს სხდომაზე და მათი პოზიცია, რომელსაც ისინი აფიქსირებენ სოციალურ ქსელებში, მათი სტატუსები შემამფოთებელია და ხელს უწყობს ხალხში პანიკის დათესვას. ხელმძღვანელი პირების მიერ რუსული ინტერესების გატარების და ჩვეული დამოკიდებულების დაფიქსირების გამო პოლიტიკურ ჭრილში „ენმ“-წევრებმა(ე. ლომთაძე, ხ. ბოჭორიშვილი, გ. გრიგალაშვილი, ს. ალიევი, ა. ალლაზოვი, ფ. გელაშვილი, ვ. კაპანაძე) დატოვეს სხდომა.

### დღის წესრიგი

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სანათების, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ "ლაგოდეხის სერვის ცენტრი"-სთვის გადაცემის თაობაზე.
2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის N 14 განკარგულების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ.
3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.
4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 სექტემბრის N გ-983.93212465 განკარგულების დანართი N1-ში ცვლილების შეტანის შესახებ.



მოისმინეს: 1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სანათების, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ "ლაგოდეხის სერვის ცენტრი"-სთვის გადაცემის თაობაზე.

ი. წიქარიშვილმა განმარტა, რომ „სერვისცენტრს“ გადაეცემა სანათები დაზიანებული სანათების ამოცვლისა და დამატებითი სანათების დასაყენებლად.

ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს.

მოისმინეს: 2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის N 14 განკარგულების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კ. ჯამბურია აღნიშნავს, რომ დამატებით წარმოდგენილია მიწის ნაკვეთების ფოტო და კარტოგრაფიული მასალა, საკრებულოს წევრის თხოვნის გათვალისწინებით.

ივანე წიქარიშვილი განმარტავს, რომ ცვლილებები ეხება:

ა) 2 მიწის ნაკვეთის, კერძოდ, სოფ. თამარიანში მდებარე მიწის ნაკვეთის-164119 კვ.მ. და სოფ. ჰერეთისკარში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)მიწის ნაკვეთის, ფართობი- 49177 კვ.მ. საპრივატიზებო ობიექტების ნუსხიდან ამოღებას და

ბ) 5 ობიექტის, კერძოდ, სოფ. ჰერეთისკარში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)მიწის ნაკვეთის, ფართობი- 81439 კვ.მ. სოფ. ჭიაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)მიწის ნაკვეთის, ფართობი- 25440 კვ.მ. სოფ. ჰერეთისკარში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)მიწის ნაკვეთის, ფართობი- 61500 კვ.მ. სოფ. ჭაბუკიანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)მიწის ნაკვეთის, ფართობი-300045 კვ.მ. და სოფ. ფონაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)მიწის ნაკვეთის, ფართობი-22037 კვ.მ. საპრივატიზებო ნუსხაში დამატების საკითხს.

აზრი გამოთქვას: ი. ცქიფურიშვილმა, რომელიც აღნიშნავს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს, ხომ არ არის ამ ნაკვეთებზე ტყე, რადგან ასეთის არსებობის შემთხვევაში, აუქციონი შეიძლება ჩაშლილად გამოცხადდეს.

ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს.

მოისმინეს: 3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

ივანე წიქარიშვილი განმარტავს, რომ ქ. ლაგოდეხში სახელმწიფო და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის გამომანგარიშება უნდა ხდებოდეს მიწის ნორმატიული ფასის, ქ.ლაგოდეხის მკრომდებარეობის ინდექსის, ლოკალური ტერიტორიული ინდექსის, მიწის საბაზისო

განაკვეთის და მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტების  
გათვალისწინებით. აღნიშნული გაანგარიშება წარმოდგენილია დანართის სახით.


მოსმინეს: 4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 სექტემბრის N გ-  
983.93212465 განკარგულების დანართი N1-ში ცვლილების შეტანის შესახებ.

ივანე წიქარიშვილი განმარტავს, რომ ცვლილება ეხება კაბალჰესის მიმდებარედ სოფ.  
განჯალაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის -ფართობი 49177 კვ.მ.  
საპრივატიზებო ნუსხაში შეტანას. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება 74000 ლარი, ბე 8000  
ლარი, ბიჯი 1000 ლარი.

მხარი დაუჭირა 18 წევრმა

წინააღმდეგი 2 წევრი (ი.ცქიფურიშვილი, ს. ღონდაძე)

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია